ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 122

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2022 წლის„ 30 " მაისს, ქ. ქუთაისში

შემსყიდველი - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის, ლოჯისტიკის ცენტრი (დასავლეთი) უფროსის პოლკოვნიკი **პაატა შუბითიძის** სახით.

ქ. ქუთაისი, ვარლამიშვილის ქ. N52

მისამართი:----------

ს/კ 212929811

საბანკორეკვიზიტები:----------

მომწოდებელი : *შპს „ტელკო სისტემს"*

მისამართი : **ქ. თბილისი ნუცუბიძის 221 კორ 1ა ბ33**

ტელეფონი ხელმძღვანელის: 571939889

*საბანკო რეკვიზიტები :*ს"თიბისი ბანკი"; **ბანკისკოდი** TBCBGE22 GE75TB4021536020100006; **ს/კ** 205203279.

საფუძველი-"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ "საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტი; საქართველოს თავდაცვის მინისტრის 29.12.2022 წლის N 1164 ბრძანება; ლ.ჯ.ც.დ. 2023 წლის 30.05 N599222 წერილი.

ერთის მხრივ– **შემსყიდველი,** და მეორეს მხრივ –**მომწოდებელი,** ადასტურებენ, რომ მათშორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მომწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს **შემსყიდველს** ამ ხელშეკრულების N1 დანართში (ფასების ცხრილი) აღნიშნული საქონელი ხელშეკრულების პირობებისა და ფასების ცხრილში აღნიშნული ხარისხის, რაოდენობის და ფასის შესაბამისად:

<u>სამეურნეო</u>

(საქონლისმოკლეაღწერა)

1.2. ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღნიშნული **დანართი** N1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3.შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მოახდინოს ანგარიშწორება **მომწოდებელთან** ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1.ხელშეკრულებით გათვალისწინებული **საქონლის** დასახელება, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მაჩვენებლები და საიდენტიფიკაციო მონაცემები, აგრეთვე რაოდენობა, ერთეულის ფასი და საჭიროების შემთხვევაში საგარანტიო პირობები მოყვანილია N1 **დანართში** (ფასების ცხრილი).

2.2.ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს:

<u>429 (ოთხასოცდაცხრა) ლარი 65 თეთრი</u>

(თანხაციფრებითდასიტყვიერად)

2.3. საქონლის ერთეულის ფასი და ხელშეკრულების ფასი შეიცავს **მომწოდებლის** ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და **შემსყიდველის** საკუთრებაში გადაცემასთან, მათშორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს, სახდელს.

2.4.ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. საქონლის მიწოდება- მიღების პირობები

3.1. მომწოდებელი ვალდებულია ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს დანართი N 1-ით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება კანონმდებლობით დადგენილი თანმხლები დოკუმენტაციით. საქონელი უნდა იყოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო.

3.2. შესყიდული საქონლის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს **შემსყიდველი** საკუთარი ხარჯებით.

3.3. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი საქონლის მიღებაზე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე იმ შემთხვევებში თუ იგი არ შეესაბამება ამხელშეკრულებით ან/და დანართი N1-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3.4. მომწოდებლის მიერ საქონლის გადაცემა და **შემსყიდველის** მიერ მისი მიღება დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის (შემსყიდველის მხრიდან ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლიბის ლოჯისტიკის ცენტრის (დასავლეთი) უფროსის მიერ გამოყოფილი მუდმივად ანგარიშვალდებული თანამდებობის პირ(ებ)ის) მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

3.5 ამ ხელშეკრულების პუნქტში აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონლზე ეკუთვნის და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე ეკისრება **მომწოდებელს,** ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის **შემსყიდველზე**.

4. *ანგარიშსწორების წესი*

4.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მომწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ღირებულება, საქონლის გადაცემის შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მასში აღნიშნული რაოდენობის პროპორციულად, არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღისა.

4.2 ანგარიშსწორების ვალუტა -**ლარი.**

4.3 გადახდის ფორმა: **ნაღდი** ან **უნაღდო** (ხაზიგაესვას).

4.4 საქონლის გადაცემის თარიღად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღი.

5. *მხარეთა ურთიერთ ვალდებულებები და პასუხისმგებლობა*

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს **მომწოდებელს** საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების **0,1** %-ის ოდენობით.

5.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში **მომწოდებელი** უფლებამოსილია დააკისროს **შემსყიდველს** საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის **0,1** %-ის ოდენობით.

5.3.თუ **მომწოდებელს** ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან **შემსყიდველის** მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი და ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული საურავების ჯამური თანხა გადააჭარბებს მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების **2%_ს, შემსყიდველი** უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და **მომწოდებელს** დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებულიდან დარჩენილი მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების **2%-ის** ოდენობით.

5.4.თუ **მომწოდებელი** განაცხადებს არამოტივირებულ უარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებაზე, **შემსყიდველი** უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს **მომწოდებელს** მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 2%.

6. *სხვაპირობები*

6.1.ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 4 ივლისამდე.

6.2.მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

6.3.ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6.4.ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან	*მომწოდებლის მხრიდან*
პ. შუბითიძე	**ი. გულიაშვილი**

Telco Systems LLC

Digitally signed by Telco Systems LLC
Date: 2023.05.30 13:17:57 +04'00'

დანართი N1

2023 წლის " 30 " მაისის N 122 ხელშეკრულებასთან ფასების ცხრილი

N	მატერიალურ ფასეულობათა/მომსახურეობის დასახელება	სშვ კოდი	ზ/ე	რაოდენობა	ე/ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
1	2	3	4	5	6	7
1	GYTS-8B1.3 (Optical Duct Cable, Drum length 4km)	32421000	მ	250	1.35	337.5
2	ODF 24 - SC wall mount; Wall mount box SC 24 simplex ports Size: 405*453*60	31213300	ც	1	71.95	71.95
3	JHT-LCSM2DX-2M (Patchord LC/UPC-LC/UPC Single mode, duplex PVC 3.0mm,2m)	32421000	ც	4	5.05	20.2
	ს უ ლ					429.65

შემსყიდველის მხრიდან

ვ. შუბითიძე

მომწოდებლის მხრიდან

ი. გულიაშვილი

Telco Systems LLC

Digitally signed by Telco Systems LLC
Date: 2023.05.30 13:18:14 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.ქუთაისი 30 მაისი 2023 წ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ლოჯისტიკის ცენტრის (დასავლეთი), უფროსი პოლკოვნიკი **პაატა შუბითიძე** და ლოჯისტიკის ცენტრის (დასავლეთი) S-4 ოფიცერი კაპიტანი **თ.ლობჯანიძე**, ვადასტურებთ, რომ საქართვეელოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ლოჯისტიკის ცენტრის (დასავლეთი) მიერ **შპს „ტელკო სისტემს“-სთან** გამარტივებული შესყიდვების საშუალებით (2023 წლის„ 30 “ მაისს გაფორმებული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ N 122 ხელშეკრულების ფარგლებში) შესყიდვის განხორციელება/მონაწილეობის მიღება არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და **შპს „ტელკო სისტემს“-სთან** არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

ლოჯისტიკის ცენრის (დასავლეთი) უფროსი
პოლკოვნიკი: / პ. შუბითიძე /

ლოჯისტიკის ცენტრის (დასავლეთი) S-4

ოფიცერი კაპიტანი / თ.ლობჯანიძე /